განკარგულება:**g-31.312211911**
თარიღი:**29/04/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N26

2022 წლის 28 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) გრანტის მიღებაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 აპრილის მომართვის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, მიიღოს გრანტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ) 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეწარმეობის განვითარების პროგრამის განსახორციელებლად.

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის მერმა ხელშეკრულების გაფორმება მოახდინოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი